საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მურუსიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 1.08.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურა?
დიახ (O)   არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურის წარდგენის გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1 აგვისტო, 2024 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭომ 2024 წლის 30 მაისის 1/47 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა, რომელშიც მონაწილეობას იღებს კანდიდატი ნიკოლოზ მარსაგიშვილი.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული სანდო ინფორმაციისა და საჯარო მოსმენის საფუძველზე, 2024 წლის 19 ივლისს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შეკვეთასე შერჩევის პროცესში მონაწილე ყველა კანდიდატი, მათ შორის ნიკოლოზ მარსაგიშვილი და მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით მაქსიმალური 100 ქულიდან მივანიჭე 91 ქულა.

ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებებისა და შეფასებათა დასაბუთებების მიხედვით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას - ყველა წევრი მიიჩნევს, რომ ნიკოლოზ მარსაგიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი შეადგეს 1302 ქულას, რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1400) 93 პროცენტია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის 1/75 განკარგულების თანახმად, აღნიშნული შერჩევის პროცესის ფარგლებში შემდგომ ეტაპზე გადავიდა საუკეთესო შედეგის მქონი ერთი კანდიდატი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი. აღნიშნული განკარგულებით, დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით ნიკოლოზ მარსაგიშვილმა დაიკავა პირველი ადგილი.

შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-12-13 პუნქტების შესაბამისად, შეფასების შედეგების ანალიზისა და გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება მხარი დავუჭირო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრობაზე საქართველოს პარლამენტისთვის ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურის წარდგენის გადაწყვეტილებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან მურუსიძე